თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4241906

ნომერი: AR1640036

თარიღი : 25.10.2018

გაცემის თარიღი : 30.10.2018

გაცნობის თარიღი : 30.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N48, კორპუსი N6 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა გიორგაძე პ/ნ 12003000099
- თელეთის 3/2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა და ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს. 0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია სართული და ასევე სამანქანე პანდუსი 31% -იანი დახრით. ,,4-1" ფასადზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები, გამათბობელი ქვაბები და სავენტილაციო შახტები. 4.00 ნიშნულიდან ზემოთ აივნები ამოშენებულია და აისახება კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობზე. 0.00 ნიშნულზე ,,ა-ა" ღერძის გარეთ გაუქმებულია ბაქანი და შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი, ,,გ-გ" ღერძზე დამატებით მოწყობილია კედლები და ფანჯრის ღიობები, რის გამოც გაუქმებულია პარკინგი და გაზრდილია კომერციული ფართი რომელიც აისახება კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობზე. ,,გ-გ" ღერძისკენ 2-2' მონაკვეტში დამატებით მოწყობილია შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი.

ანტენები, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები მოაწყოს ერთიანი, მოწესრიგებული სახით. საჭიროა მათიშემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა.

საჭიროა საპროექტო ობიექტი მოიყვანოთ შესაბამისობაში დადგენილ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში.

წარმოადგინეთ მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამოწმებული ანაზომი ნახაზები კ2 კოეფიციენტის საანგარიშო კროკების დატანით (ფართობის მითითებით) , შშმ პირთათვის განკუთვნილ და სამანქანო პანდუსებზე დაიტანეთ გაბარიტული ზომები და დახრის პროცენტულობა. წარმოადგინეთ კეთილმოწყობის ანაზომი და დაიცავით საკადასტრო საზღვრები. წარმოადგინეთ ავტოსადგომის სართულის ანაზომი სადგომების დატანით. გაითვალისწინეთ თითო საცხოვრებელ ერთეულზე 1 ავტოსადგომი.

აღნიშნული დარღვევების გამოსწორების შემდეგ წარმოადგინეთ მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი დარღვევების გამოსწორებასთან დაკავშირებით, სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო დასკვნა და ინფორმაცია შემსრულებელი ექსპერტის შესახებ და აგრეთვე განახლებული ფოტოები.

შესაბამის ველში მიუთითეთ მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.

განმარტეთ, განხორციელებული სამუშაოებით შეიცვალა თუა არა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული, ინდივიდუალური ფართები და ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინეთ შესაბამისი მესაკუთრეების და არსებობის შემთხვევაში მომავალი მესაკუთრეებისა და იპოთეკარების თანხმობები.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.